№2557 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

შრომითი მიგრაციის სფეროში შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განხორციელებაში საქართველოს ცალკეული სამინისტროებისა და მათ სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოების სპეციფიკური უფლება-მოვალეობების მქონე უწყებების (საქართველოს იუსტიციის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები) მიერ კანონით განსაზღვრულ სპეციფიკურ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა (მოცულობა და ფორმატი) განხორციელდეს მითითებულ უწყებებს შორის გაფორმებული მემორანდუმების შესაბამისად და ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**